



„სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამით“ გათვალისწინებული განაცხადის

ფორმა

<p>განაცხადის წარმომდგენი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული სახელწოდება და იურიდიული მისამართი</p> <p>შენიშვნა: განაცხადის წარმომდგენა შეუძლიათ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებს, რომლებიც 2017 წელს ჩართულები იყვნენ სკოლის მოსწავლეებში შრომითი უნარების განვითარების ქვეპროგრამაში. აღნიშნული დაწესებულებები უფლებამოსილი არიან წარმოადგინონ განაცხადები მხოლოდ იმ სკოლებთან თანამშრომლობით, რომლებთან პარტნიორობითაც 2017 წელს განახორციელეს შესაბამისი კურსები.</p>	
<p>განაცხადის წარმომდგენი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის სახელი, გვარი და ტელეფონის ნომერი</p>	
<p>განაცხადის წარმომდგენი საგანმანათლებლო დაწესებულების ელექტრონული ფოსტის მისამართი</p>	
<p>განაცხადის წარმომდგენი საგანმანათლებლო დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი</p>	
<p>ბენეფიციარი სკოლის სახელწოდება, მისამართი და ოფიციალური ელ. ფოსტის მისამართი</p> <p>შენიშვნა: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება ვალდებულია, განაცხადს თან დაურთოს პარტნიორი საჯარო სკოლის ხელმძღვანელის წერილი, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლას აქვს სურვილი, აღნიშნულ დაწესებულებასთან თანამშრომლობით განაგრძოს კურსის განხორციელება ახალი ჯგუფისთვის/ჯგუფებისთვის .</p>	
<p>ბენეფიციარი სკოლის დირექტორის სახელი და გვარი, ტელეფონის ნომერი და საკონტაქტო ელ. ფოსტის მისამართი</p>	
<p>პროფესიული უნარების კურსის დასახელება:</p> <p>შენიშვნა: საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, პროფესიული უნარების კურსი შეიმუშავოს მხოლოდ იმ მიმართულების/პროფილის ფარგლებში, რომლის შესაბამისადაც ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.</p> <p>რეკომენდებულია, კურსის დასახელება შეესაბამებოდეს სამიზნე პროფესიის დასახელებას.¹</p>	

¹ მაგ: პროფესიული უნარების კურსი კულინარიაში, პროფესიული უნარების კურსი ელექტრობაში და სხვ. ამდენად, კურსის დასახელება შესაძლოა ჩამოყალიბდეს განსხვავებულად, ვიდრე ის იყო 2017 წელს.

<p>კურსის განხორციელების ჯამური ბიუჯეტი</p> <p>შენიშვნა: ჯამური ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 20 ათას ლარს</p>	
<p>სამიზნე ჯგუფი:</p> <p>შენიშვნა: კურსის ბენეფიციარები შეიძლება იყვნენ საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების VIII და IX კლასის მოსწავლეები. დასაშვებია ჯგუფის/ჯგუფების სხვადასხვა კლასის მოსწავლეებისგან დაკომპლექტება და ჯგუფში/ჯგუფებში მოსწავლეთა განსხვავებული რაოდენობა (ჯამში არაუმეტეს 20 მოსწავლისა)</p>	
<p>კურსში ჩართულ მოსწავლეთა რაოდენობა:²</p> <p>შენიშვნა: ჯგუფში მოსწავლეთა რაოდენობა უნდა იყოს არაუმეტეს 20-ისა. ამასთან, მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრისას, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს კურსის სპეციფიკა, სასწავლო გარემო და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები.</p>	
<p>კურსის ხანგრძლივობა:</p> <p>შენიშვნა: კურსის ხანგრძლივობა უნდა იყოს არანაკლებ 24 და არაუმეტეს 48 საათისა.³</p>	<p>----- თვეების რაოდენობა</p> <p>----- დღეების რაოდენობა</p> <p>----- საათების რაოდენობა</p>
<p>კურსის ფარგლებში თითოეული გაკვეთილის ხანგრძლივობა:</p> <p>შენიშვნა: კურსის ფარგლებში თითოეული გაკვეთილის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 2 საათს.</p>	<p>----- საგაკვეთილო დღეების რაოდენობა კვირაში</p> <p>----- საგაკვეთილო დროის ხანგრძლივობა საათებში</p>
<p>განხორციელების ვადები</p> <p>შენიშვნა: კურსის განხორციელების დაწყება - არაუადრეს მარტისა; კურსის დასრულება - არაუგვიანეს ივნისისა.</p>	<p>--/--/---- კურსის დაწყების თარიღი</p> <p>--/--/---- კურსის დასრულების თარიღი</p>
<p>კურსის ზოგადი მიზნები:</p>	<p>პროფესიული უნარების კურსი ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე მიზნის მიღწევაზეა ორიენტირებული:</p> <p>(ა) პროფესიის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება მოსწავლეებისთვის;</p> <p>(ბ) მოსწავლეების პროფესიაში თვითგამორკვევა;</p> <p>(გ) პროფესიისთვის საკვანძო უნარების საბაზო/საწყის დონეზე განვითარება;</p> <p>(დ) პროფესიაში საკუთარი ძალების მოსინჯვა პროფესიისთვის დამახასიათებელი სამუშაოების შესრულების გზით;</p>

² შესაძლებელია ერთი კურსის ფარგლებში ერთზე მეტი ჯგუფის ფორმირება, იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეთა მხრიდან არსებობს შესაბამისი დაინტერესება და ბიუჯეტი იძლევა რამდენიმე ჯგუფის დაკომპლექტების შესაძლებლობას.

³ 2017 წელს მიღებული გამოცდილების საფუძველზე, შესაძლოა მოდიფიცირება განიცადოს კურსის ხანგრძლივობამ, ასევე დაიხვეწოს მისი შინაარსი, განხორციელების მიდგომები და სხვ.

	<p>(ე) ზოგადი პროფესიული ცოდნის მიღება მისი შემდგომში გაღრმავების პერსპექტივით;</p> <p>(ვ) კარიერის მართვის უნარების განვითარებისა და პროფესიული არჩევანის მიღების ხელშეწყობა.</p>
<p>კურსის მოკლე აღწერა:</p> <p>შენიშვნა: სავალდებულოა, კურსის მიზნები და მოკლე აღწერილობა ესადაგებოდეს პროფესიული უნარების კურსების ზოგად მიზნებს.</p>	

ბიუჯეტი

1	მასწავლებლის შრომის ანაზღაურება ⁴			
	მასწავლებელი	ჩასატარებელი საათების რაოდენობა	1 საათის ანაზღაურების ოდენობა/ლარი	ანაზღაურების ჯამური ოდენობა/ლარი
1.1.	სკოლის მასწავლებელი ⁵			
1.2.	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების მასწავლებელი			
2	კურსის ადმინისტრირებაში ჩართული პირების შრომის ანაზღაურება ⁶			
	პროექტის ფარგლებში დაკავებული პოზიცია	ფუნქცია/ფუნქციები		ანაზღაურების ოდენობა/ლარი
2.1.				
2.2.				

⁴ კურსში ჩართული სკოლის მასწავლებლის შრომის ანაზღაურება განისაზღვრება საათში 10 ლარის ოდენობით.

⁵ სწავლების პროცესში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების მასწავლებელთან ერთად, ჩართული უნდა იყოს სკოლის მასწავლებელიც და უზრუნველყოს მოსწავლეებისთვის კურსის გაცნობაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა-ორგანიზებაში მონაწილეობა; საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა, მართვა და გაძღოლა; მოსწავლეთა ქცევაზე დაკვირვება და დროული უკუკავშირის მიწოდება; პროფესიული მასწავლებლის ინფორმირება მოსწავლეთა ინდივიდუალური მახასიათებლების შესახებ და მათი გათვალისწინება საგაკვეთილო პროცესში; მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვა და კონტროლი. გაცდენების მიზეზების კვლევა, გადაჭრის გზების ძიება და საჭიროების შემთხვევაში, პროფესიულ მასწავლებელთან ერთად სასწავლო გრაფიკის გადახედვა; კურსის მონიტორინგზე უფლებამოსილი პირების საქმიანობის ხელშეწყობა.

⁶ პროცესის ეფექტურად მართვისთვის, ერთი კოორდინატორი ჩართული უნდა იყოს არაუმეტეს 5 კურსის/პროექტის კოორდინირებასა და მართვაში (რამდენიმე კურსის არსებობის შემთხვევაში).

				სულ:
3	კურსის განსახორციელებლად შესაძენი მატერიალურ-ტექნიკური რესურსი⁷			
	რესურსის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი/ლარი
3.1				
3.2				
3.3				
3.4				
3.5				
	სხვა ხარჯი			
4.	ხარჯის დასახელება	ხარჯის მიზნობრიობა/ დასაბუთება	ერთეულის ფასი	ჯამი/ლარი
4.1				
4.2				
	სულ ბიუჯეტი:			

⁷ ნებისმიერი საქონლის და/ან მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში, საკონკურსო განაცხადის წარმომდგენი ვალდებულია, განაცხადს თან დაურთოს ბაზრის კვლევის ამსახველი ინფორმაცია (მინიმუმ 3 კომპანიისგან მიღებული ინვოისი). თუ ობიექტური მიზეზების გამო შეუძლებელია ინვოისის წარმოდგენა, დასაბუთებული მიზეზი უნდა მიეთითოს. პროექტის ფარგლებში შესყიდული ხელსაწყო-იარაღები, სასწავლო მასალები და ნებისმიერი სხვა ნივთი, რჩება საჯარო სკოლას, მისი შემდგომი გამოყენების მიზნით